ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 40

14.02.2020
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 14 თებერვალს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი) და გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი მაია გრძელიძე, მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურეობის საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვისა და განკარგვის სამსახურის უფროსი თამარ მელიქიშვილი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 – 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200378-03, 06.02.2020) *(მომხსენებელი - მაია გრძელიძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი);*

2. **მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში** *(მომხსენებელი - ნინო ლაცაბიძე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე);*

3. **„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(12-032003848-03, 07.02.2020) (მომხსენებელი - თამარ მელიქიშვილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვისა და განკარგვის სამსახურის უფროსი);*

4. **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე პროექტები** *(მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);*

სხდომა წარიმართა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ინფორმაცია - კომისიებს წარუდგინა ქ. თბილისის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა

მაია გრძელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება 2019 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და 2020 წლის 1 იანვრისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით 2020 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 217 580,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 238 980,6 ათას ლარს. ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა, ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება და ქ. თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოები. ძირითადი სიახლე კი გახლავთ რამდენიმე ახალი პროგრამა/ქვეპროგრამის დამატება, კერძოდ: სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 12 605,5 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 2 337,2 ათასი ლარი; სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახური (კოდი 10 19) – 1 682,1 ათასი; აგრეთვე, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა (კოდი 06 01 05) – 2 676,5 ათასი ლარი.

ზაზა ცინაძე - სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით გაზრდილი თანხებით უნდა განხორციელდეს ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურულ ერთეულის, გლდანის საცურაო აუზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის მშენებლობა, ქ. თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის სპორტულ

დარბაზად გადაკეთება და მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვარკეთილის და დიდი დიღმის მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ძირითადად ეს გახლავთ გარდამავალი ნაშთის დაზუსტება კონტრაქტორი კომპანიების ერთიანი სახარჯთაღვრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან გამომდინარე. ასევე, მატებაა ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის (კოდი 08 08 01) ნაწილში – 2 278,0 ათასი ლარით, რაც მოხმარდება კოჯრის მულტიფუნქციური ახალგაზრდული სოფლის სამშენებლო სამუშაოებსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებს. მთლიანობაში, სპორტი და ახალგაზრდობის პროგრამები იზრდება 5 230.1 ათასი ლარით და წარმოდგენილია 30 934.5 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვა:

გიორგი დოხტურიშვილი - ვარკეთილის მესამე მასივში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაციის პროცესს, რომ გავეცნოთ ერთობლივად, ვინაიდან ძალიან კარგი საქმე კეთდება, სპორტულ და სახელოვნებო წრეებზე მთლიანობაში ათას ბენეფიციარზე მეტია. ვარკეთილის მესამე მასივში ანალოგი არ აქვს მსგავს ინფრასტრუქტურას. ასევე მესამე მასივში არ გვაქვს სტანდარტული სტადიონი 11/11-ზე, არსებობს ზემო პლატოზე ედელვაისის სტადიონი, რომლის გაფართოებიდან გამომდინარე შესაძლებელია სტანდარტული სტადიონის შექმნა, აღნიშნულის გათვალისწინებით ერთი გასვლითი სამუშაო შეხვედრა გავმართოთ შესაბამის უწყებებთან ერთად.

ნინო ლაცაბიძე - სოციალურად დაუცველი ბავშვების საცურაო აუზით სარგებლობის პროგრამაში ჩართულობასთან დაკავშირებით არის გარკვეული პრობლემები, კერძოდ რიგში დგომა აუზების დატვირთვიდან გამომდინარე, იმედია აღნიშნული მულტიფუნქციური ცენტრები ამ პრობლემას მოაგვარებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 – 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, გიორგი მუსხელიშვილი - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 – 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში ინიციატივის თაობაზე ინფორმაცია - კომისიებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ.

ნინო ლაცაბიძე - საკითხი ეხება მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში და შესაბამისი შეღავათების დაწესებას. მოგეხსენებათ, რომ აქამდე არ გვქონდა განსაზღვრული მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის, 2018 წელს მოხდა ამ ცვლილების განხილვა და სამოქალაქო კოდექსში განისაზღვრა მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი, რომელიც წარმოადგენს 4 და მეტი შვილის მქონე პირს. ჩვენ სექტემბრიდან დავიწყეთ მუშაობა, რომ მუნიციპალიტეტის აქტებში შეგვეტანა პრიორიტეტულ ჯგუფად, მაგალითისთვის რომ ავხსნათ გვაქვს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საშეღავათო პაკეტები, მარტოხელა დედა, მარტოხელა მშობელი. ჩვენ შევხვდით 300-მდე მრავალშვილიან მშობელს განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები მათ შორის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წესში ცვლილება, რომელიც უკვე განხორციელდა. ასევე სხვა სოციალური უკვე გამზადებულია გამგეობების ნაწილში, რომელსაც დაემატება მრავალშვილიანი, როგორც პრიორიტეტული ჯგუფი, რაც საშუალებას მოგვცემს 100%-მდე დაფინანსება განვახორციელოთ. მოვამზადეთ პროექტი სატრანსპორტო შეღავათებთან დაკავშირებითაც, დღეს კი მინდა გთხოვოთ მხარდაჭერა სხვადასხვა წესებში მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის პრიორიტეტულად შეტანის შესახებ, მათ შორის სხვა სოციალური მერიის ნაწილში და სპორტული აქტივობები ბავშვებისთვის, აქ არაა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი მშობლების შესახებ საუბარი. დემოგრაფიული სტატისტიკიდან გამომდინარე ძალიან რთული მდგომარეობაა, ის მშობლები რომელთაც აიღეს რეესტრში მრავალშვილიანის სტატუსი და არიან სოციალურად დაუცველები სარგებლობენ აღნიშნული შეღავათებით, ხოლო ისინი ვისაც არ აქვთ სოციალური სტატუსი ვერ სარგებლობენ, აქედან გამომდინარე ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვაქვს არაერთი ინიციატივა, რომელიც შეღავათებს მოიცავს და პრიორიტეტულ ჯგუფად წარმოადგენს აღნიშნულ პირებს.

აზრი გამოთქვა:

გიორგი ჩაკვეტაძე - კარგი იქნება გაკეთდეს სრული კვლევა შესაბამის პროგრამებში დადგინდეს გამიჯნულად მრავალშვილიანების ჩართულობა, რომ სამსახურების დონეზე შევძლოთ შესაბამისი საკითხის განსაზღვრა და გათვალისწინება, როგორც აუზების, ასევე მწვრთნელთა მხარდაჭერის და სხვა პროგრამებში. მივესალმებით აღნიშნულ ინიციატივას და მხარს ვუჭერთ, რომ აღნიშნული წინადადებები აისახოს საკრებულოს წესებში, რომ ეს სტატუსი იყოს აღიარებული. მაგალითისთვის აუზით სოციალურად დაუცველთა და მრავალშვილიანი ოჯახის წევრთა სარგებლობა მოხდეს. შესაძლებელია აღნიშნულის ასახვა ბიუჯეტის ცვლილებებში და 2021 წლის ბიუჯეტშიც. აუცილებელია ყველა პროგრამის ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების ასახვა, თუნდაც მომავალი წლისთვის.

ზაზა ცინაძე - კონკრეტული სპორტული ცენტრის ტარიფებში გვაქვს გარკვეული შეღავათები ოჯახის მეორე და შემდეგ წევრზე. მივესალმებით აღნიშნულ ინიციატივებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო წინადადება ,,მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში" და მოიწონა აღნიშნულის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადება.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ინფორმაცია - კომისიებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვისა და განკარგვის სამსახურის უფროსმა.

თამარ მელიქიშვილი - ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციისთვის" (ს/კ: 206344972) სიმბოლურ 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემა მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოსაწყობად. ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ხუთი წლის ვადაში მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების საწვრთნელ-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსი, მუდმივად პროფილის უცვლელი შენარჩუნებით. აღნიშნულ ტერიტორიაზე იფუნქციონირებს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის საგზაო მოძრაობის საწყისი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, კომპლექსში გათვალისწინებული იქნება სპეციალური საწვრთნელი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ასევე მოხდება სხვადასხვა ტიპის მძღოლებისა და ინსტრუქტორების გადამზადება.

აზრი გამოთქვა:

გიორგი ბირბიჩაძე - აღნიშნულ ხელშეკრულებაში, ჩადებულია, თუ არა მუნიციპალიტეტში მომუშავე მძღოლების გადამზადება? რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ მსგავსი ვალდებულება ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული, მაგრამ სურვილის შემთხვევაში მოლაპარაკება შესაძლებელია.

გიორგი ჩაკვეტაძე - აღნიშნული პროექტი გახლავთ საინვესტიციო ვალდებულებაზე დაფუძნებული, კერძოდ კი ფედერაცია ვალდებულია ხუთი წლის ვადაში მოაწყოს შესაბამისი საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსი, სადაც განახორციელებს მინიმუმ 1,5 მილონი ლარის ინვესტიციას. აღნიშნული არის პროექტ ,,შენი იდეა ქალაქის მერს"-ის ფარგლებში გამარჯვებული.

ლილე ლიპარტელიანი - აღნიშნული მიწის ნაკვეთი 9 ჰექტარი გადაეცემა იმ ფედერაციას, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ შალვა ოგბაიძე?!

გიორგი ჩაკვეტაძე - ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის" დამფუძნებელთა ბორდში და ფედერაციის სხვა სტრუქტურულ ნაწილებში არ გახლავთ შალვა ოგბაიძის არანაირი ჩართულობა, აღნიშნულ ფედერაციასთან მისი კონტაქტი მხოლოდ სპორტსმენის რანგით შემოიფარგლება, ის მონაწილეობას იღებს აღნიშნული ფედერაციის მიერ საქართველოს ეგიდით გამართულ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ლიცენზირებული ავტომრბოლელი. ხოლო თავად ამ კომპლექსის მშენებლობა ჩვენი ქალაქისთვის უპრეცენდენტო მნიშვნელობისაა, ვინაიდან მსგავსი ინფრასტრუქტურა ჩვენს დედაქალაქს არ გააჩნია და მალე შეემატება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, გიორგი მუსხელიშვილი).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია - კომისიას წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ორი მიმდინარე პროექტი აქვს. მოგეხსენებათ ,,ადგილობრივი თვითმმართველობების ახალგაზრდული ფორუმის“ პროექტის რეგიონალური ნაწილი, წელს ბათუმში ტარდება სახელწოდებით ახალგაზრდული ფორუმი-,,ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის” სადაც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები სტუდენტებთან და მაღალი რანგის სტუმრებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას ფორუმში და მის შემადგენელ თემატურ სამუშაო ჯგუფებში. სურვილის შესაბამისად სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებს გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა ფორუმში 21-22 თებერვალს, გახსნა პარასკევს 21 თებერვალს 15:00 საათზე ქალაქ ბათუმში. მეორე პროექტი გახლავთ ,,სასკოლო ლიგა“, რომელიც იქნება მთელი წლის განმავლობაში და მოიცავს თბილის საჯარო სკოლების უმეტესობას. მსგავსი ჩართულობა ახალგაზრდული მიმართულებით თბილისში იშვიათია, პროექტი არის ელექტრონული ტექნოლოგიებისა და წამახალისებელი ელემენტებისგან შემდგარი, სადაც გუნდურ ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მისი მხარდამჭერი საკრებულოსთან ერთად გახლავთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, თბილისი მერია და კომპანია ,,პსპ“, ოთხი თვის განმავლობაში 90-ზე მეტი გუნდი და ათასზე მეტი ბენეფიციარი მიიღებს აღნიშნულში მონაწილეობას, რაც ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და სპორტში მასობრივ ჩართულობას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო კომისიის მიმდინარე პროექტების ,,ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის“ და ,,სასკოლო ლიგა 2020“ შესახებ ინფორმაცია და მხარი დაუჭირა მათ ჩატარებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  გიორგი ჩაკვეტაძე